



#4 (36), აპრილი, 2010

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რევიზიებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას ამზადებს
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს
ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების
საქმიანობებს, ღონისძიებებს



თემი ქედელის – ფოტო არქივი

ახალსახლობა ქედელში

სიღნაღიდან დაახლოებით 2 კილომეტრით დაშორებულ სოფელ ქედელში 12 აპრილს, მოცარტის სონატის, თურქული მარშის, რევაზ ლალიძისა და რუსუდან სეზიკვერადის მუსიკალური ნაწარმოებების ხმა ისმოდა. მას სხვადასხვა ინსტრუმენტების დახმარებით თემი „ქედელის“ ბენეფიციარები ასრულებდნენ. მსმენელებიც მრავლად იყვნენ – დონორები გერმანიიდან, პოლანდიაში მოქმედი ფონდ „ქედელის“ პრეზიდენტი. ორგანიზაციის მეგობრები უცხოეთიდან, ადგილობრივი მეგობრები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოსა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

ახალსახლობა ქედელში

(გაგრძელება)



სტუმრებსაც და მასპინძლებსაც ერთი რამ ამოძრავებდათ – გაეხსნათ ახალი, რიგით მეორე სახლი, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზრდილები იცხოვრებენ. ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 2008 წლის ივლისში დაიწყო და მას გერმანიის ეკონომიკური განვითარების ფონდი აფინანსებდა. ახალ სახლში 5 ახალი ბენეფიციარი უკვე განთავსდა, მაისის პირველ რიცხვებში მათ კიდევ შეემატებინან, ახალმოსახლენი ფონდ „პირველი ნაბიჯის“ აღსაზრდელები არიან.



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში გადამზადდნენ თანამშრომლები. ორივე სახლში სულ 20 ბენეფიციარი იცხოვრებს. მანამდე, ეგრეთ წოდებულ, ძველ სახლში 2000 წლიდან მოყოლებული 9 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილი ცხოვრობს.



თემი „ქედელის“ მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუქმნას შრომით-თერაპიული გარემო, რათა მათ შეძლონ თავიანთი უნარების რეალიზება. ახალი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე განთავსებულია შრომით თერაპიული სახელოსნოები: თექის-საქსოვი, სადურგლო, საცხობი სადაც დღის განმავლობაში ქედელის მაცხოვრებლები არიან დასაქმებულები.



თემი ქედელის – ფოტო არქივი

• თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაიცნონ

დამოუკიდებელი ცხოვრების

ცენტრი

22 აპრილს, თბილისში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთათვის დამოუკიდებელი ცხოვრების და მასთან არსებული დედათა ცენტრი გაიხსნა. ცენტრის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის კომპლექსური მომსახურების სისტემის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, მათ ინფორმირებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით ახალი უნარ-ჩვევების შეძენასა და საზოგადოებაში ჩართვას. ეს არის საპილოტე პროექტი, რომელსაც ასოციაცია „ანიკა“ ახორციელებს და იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტის და ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა. ცენტრის გახსნას დაესწრნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მასაიოში კამოჰარა, თბილისის მერი ვიგი უგულავა, ასევე ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასოციაცია „ანიკას“ ხელმძღვანელმა

ირინა ინასარიძემ გაიხსენა, რომ როცა ასოციაცია 1997 წელს დაფუძნდა და მისი დამფუძნებლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები იყვნენ, რა თქმა უნდა სურდათ რომ ხელი შეეწყობა ბავშვების განათლებისა და საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის, თუმცა არ იცოდნენ როგორ. დღეს, როგორც ირინა ინასარიძე ამბობს, უკვე იციან როგორ მიაღწიონ მიზანს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროექტი პილოტურია და იგი ამ ეტაპზე გლდან-ნაძალადევაში განხორციელდა, სადაც 485 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდი ცხოვრობს, მთლიანად თბილისში 2500-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ცხოვრობს.

- ასოციაცია „ანიკა“ 1997 წლიდან ფუნქციონირებს და მისი მიზანია ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების განათლებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას. მისამართი: ც. დადიანის ქ. #136, თბილისი, 0180, საქართველო ტელ: 69 45 33, 69 45 36 ელ. ფოსტა: geo_anika@yahoo.com geoanika@hotmail.com ვებ-გვერდი: www.sos.ge

ბაზისური კურსი სოციალურ თერაპიაში

კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ აცხადებს სტუდენტების მიღებას სოციალური თერაპიის ბაზისურ კურსზე.

კურსის მიზანია სოციალ-თერაპევტების აღზრდა, რათა მათ შეძლონ ურთიერთობა და მუშაობა განვითარების შეფერხების მქონე ახალგაზრდებთან და ზრდასრულებთან როგორც ყოფით, ისე შრომით პირობებში. თეორიული კურსის გავლის შემდეგ, საუკეთესო სტუდენტებს საშუალება მიეცემათ გაიარონ პრაქტიკული კურსი სოციალურ-თერაპიულ დაწესებულებებში.

დაინტერესებულმა პირებმა მიმართონ შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები უბილაძეების ქ.8 ტელეფონი: 77 54 85\77 63 07

ტენდერი

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო

აცხადებს ტენდერს ბავშვზე ზრუნვის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: 18 წლამდე ასაკის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ
გაზეთი „24 საათი“, 17 აპრილი, 2010 წელი
აბ

<http://www.civilin.org/welfare>

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (csrdg) აცხადებს კონკურსს სოციალური საწარმოებისათვის ფინანსური მხარდაჭერის მიმართულებით.

კონკურსი ცხადდება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის– საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების პროექტის ფარგლებში. პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა საქართველოში სოციალური მეწარმეობის, როგორც სოციალური პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი ეფექტიანი გზის განვითარების ხელშეწყობა. პროექტი მიმდინარეობს გერმანული ფონდის EED-ის ფინანსური მხარდაჭერით, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან და ბრიტანეთის საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ინოვაციური ბიზნეს მიდგომების განვითარებას, მათი სოციალური მისიისა და მიზნების მხარდასაჭერად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ და სათემო ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ სამეწარმეო საქმიანობის გამოცდილება, ან აქვთ შესაძლებლობა და წარმოდგენა ორგანიზაციაში განავითარონ შემოსავლის მომტანი საქმიანობები. კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია თან ერთვის შეტყობინებას

ან დაუკავშირდით

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს

მისამართი: თბილისი, დელისის 1 შესახვევი 5ა

ტელ: (+995 32) 399019/18

e-mail: apply@csrdg.ge

საკონტაქტო პირი: ქეთი კაკაბაძე